# მაღალი ტემპერატურა — ცხელება ბავშვებში

## რჩევა მშობლებისა და მეურვეებისთვის ჯანდაცვის აღმასრულებელი სამსახურისგან (HSE)

წყარო: [www2.hse.ie/conditions/high-temperature/](www2.hse.ie/conditions/high-temperature/)

ბოლო ვერსია: 2021 წლის 20 დეკემბერი

# მაღალი ტემპერატურა — ცხელება ბავშვებში

ნორმალური ტემპერატურა ცელსიუსით 36 და 36,8 გრადუსს შორისაა.

ბავშვებში, ცელსიუსით 38 გრადუსი და მეტი ტემპერატურა განიხილება, როგორც მაღალი. მაღალი ტემპერატურა მცირეწლოვან ბავშვებში ხშირია. ჩვეულებრივ, ტემპერატურა ნორმას 3 ან 4 დღეში უბრუნდება.

ცელსიუსით 38 გრადუსზე მაღალი ტემპერატურა, როგორც წესი, ინფექციის ნიშანია, როგორიც გაციებაა. მაგრამ ეს შეიძლება უფრო სერიოზული ინფექციებით იყოს გამოწვეული, ამიტომ თქვენი ბავშვის ყველა სიმპტომის გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

მაშინაც კი, თუ მას მაღალი ტემპერატურა არ აქვს, შესაძლოა მძიმედ იყოს დაავადებული.

## ბავშვებში მაღალი ტემპერატურის სიმპტომები

ჩვეულებრივ, მაღალი ტემპერატურა მცირე დაავადებებით არის გამოწვეული. მაგრამ ისინი შეიძლება სერიოზული ინფექციების ნიშანი იყოს. მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ თქვენი ბავშვი ყურადღებას იჩენს და თქვენს მოქმედებებზე რეაგირებს.

**სამედიცინო დახმარებას სასწრაფოდ მიმართეთ, თუ:**

- შიშობთ, რომ თქვენი ბავშვი შეიძლება სერიოზულად ავად იყოს, თუნდაც მაღალი ტემპერატურა არ ჰქონდეს

თქვენი ბავშვი შეიძლება იყოს ავად, თუნდაც მაღალი ტემპერატურა არ ჰქონდეს.

სერიოზული ავადმყოფობის რისკი დაბალია, თუ თქვენი ბავშვი:

- კმაყოფილია და იღიმის
- ფხიზლადაა
- სითხეს იღებს
- ხალხთან ჩვეულებრივ ურთიერთობს

სერიოზული დაავადების მაღალი რისკი არსებობს, თუ თქვენი ბავშვი:

- ვერ იღვიძებს და თუ იღვიძებს, ფხიზლად დარჩენას ვეღარ ახერხებს
- სუსტად ან მაღალი ტონით უწყვეტად ტირის
- აქვს ფერმკრთალი ან ლაქებიანი კანი
- ღებინებას აგრძელებს
- ხიხინებს, თუ ჩვილია, ან ძალიან სწრაფად სუნთქავს

## ტემპერატურის შემოწმება

თუ თქვენს ბავშვს მაღალი ტემპერატურა აქვს, ის შეიძლება:

- შუბლზე, ზურგზე, ან მუცელზე შეხებისას, ჩვეულებრივზე ცხელი იყოს
- ოფლიანი და სველი იყოს
- მას შეიძლება წითელი ლოყები ჰქონდეს

## ციფრული თერმომეტრები

ბავშვის ტემპერატურის შესამოწმებლად საუკეთესო საშუალება ციფრული თერმომეტრია.

ციფრული თერმომეტრის შეძენა აფთიაქში, სუპერმარკეტში ან ინტერნეტით შეგიძლიათ. თერმომეტრს ინსტრუქცია მოყვება.

თქვენი ბავშვის ტემპერატურა დაბანის შემდეგ ან, როდესაც ის თბილ ტანსაცმელშია გახვეული, არ გაზომოთ. ზუსტ შედეგს ვერ მიიღებთ.

## ბავშვის მკურნალობა ცხელების დროს

ცხელება რაიმე სერიოზულის ნიშანი იშვიათადაა.

ჩვეულებრივ, თქვენს ბავშვზე ან ჩვილზე ზრუნვა სახლში შეგიძლიათ. ტემპერატურა 3-4 დღის განმავლობაში უნდა დაეცეს.

თქვენ უნდა:

- თქვენს ბავშვს ნორმალურად ჩააცვით, ზედმეტს ნუ ჩააცმევთ და ტანსაცმელში ზედმეტად არ გადაახვიოთ
- თქვენს ბავშვს ბევრი სითხე მიეცით
- თქვენს ბავშვს, თუ მას სურს, საკვები მიეცით
- თქვენი ბავშვი ღამით რეგულარულად შეამოწმეთ

მისი ტემპერატურის შესამცირებლად, გრილი ქსოვილი ან ღრუბელი არ გამოიყენოთ.

## სიცხის დამწევი მედიკამენტები

თქვენი ბავშვის ტემპერატურის შესამცირებლად და ტკივილის შესამსუბუქებლად პარაცეტამოლი, ან იბუპროფენი გამოიყენეთ. რჩევისთვის თქვენს ფარმაცევტს მიმართეთ.

12 წლამდე ასაკის ბავშვებს ასპირინი არ მისცეთ.

თქვენი ბავშვისთვის პარაცეტამოლის ან იბუპროფენის მიცემით დაიწყეთ. თუ ის წამალი, რომელიც მიეცით, არ შველის, მეორე სცადეთ.

დარწმუნდით, რომ:

- პარაცეტამოლის თითოეულ დოზას შორის 4-დან 6 საათამდე გავიდა
- იბუპროფენის თითოეულ დოზას შორის 6-დან 8 საათამდე გავიდა

თქვენი ბავშვის წონის მიუხედავად რეკომენდებულ დოზაზე მეტი არ მისცეთ.

თქვენ შეგიძლიათ, თქვენს ბავშვს პარაცეტამოლი და იბუპროფენი მისცეთ, თუ ის ანტიბიოტიკს იღებს. ანტიბიოტიკი სიცხეს არ შეამცირებს და ტკივილს არ მოხსნის.

## როდის უნდა მიმართოთ დახმარებას

**სასწრაფოდ ექიმს მიმართეთ, თუ თქვენი ბავშვი:**

- არის 3 თვეზე ნაკლების და ცელსიუსით 38 გრადუსი ან უფრო მაღალი ტემპერატურა აქვს, ან ფიქრობთ, რომ მას ცხელება აქვს
- არის 3-დან 6 თვემდე ასაკის და ცელსიუსით 39 გრადუსი ან უფრო მაღალი ტემპერატურა აქვს, ან ფიქრობთ, რომ მას ცხელება აქვს
- დაავადების სხვა ნიშნები აქვს, როგორიცაა გამონაყარი, ასევე მაღალი ტემპერატურა
- მაღალი ტემპერატურა აქვს, რომელიც 5 დღეზე მეტ ხანს გრძელდება
- ჭამა არ სურს ან უჩვეულოდ იქცევა და ამის გამო, თქვენ ღელავთ
- მაღალი ტემპერატურა აქვს, რომელიც პარაცეტამოლის, ან იბუპროფენის მიღებისას არ იკლებს. აუცილებელი არაა, რომ ტემპერატურა ნორმამდე ჩამოვიდეს, ცელსიუსით 38 გრადუსი ნორმალურია. ინფექციის უმეტესობისას, ბავშვებს, როგორც წესი, ტემპერატურა მინიმუმ 3 დღის განმავლობაში აქვთ
- გაუწყლოების ნიშნებს ავლენს - როგორიცაა საფენები, რომლებიც ძალიან სველი არ არის, ჩაცვენილი თვალები და უცრემლო ტირილი

**112-ზე ან 999-ზე დარეკეთ, ან სასწრაფო დახმარების განყოფილებაში (ED) წადით, თუ თქვენს ბავშვს:**

- აქვს სიცხე, რომელსაც ვერ აკონტროლებთ
- კისერი დაჭიმული აქვს
- აქვს გამონაყარი, რომელიც ჭიქითმიჭერის შემდეგაც არ ქრება
- სინათლე აწუხებს
- შეტევა პირველად აქვს
- უჩვეულოდ ცივი ხელ-ფეხი აქვს
- ფერმკრთალი, ლაქებიანი, ლურჯი, ან ნაცრისფერი კანი აქვს
- აქვს სუსტი, მაღალტონიანი ტირილი, რომელიც მის ჩვეულებრივ ტირილს არ ჰგავს
- ძილიანობა აქვს და ძნელად იღვიძებს
- სუნთქვა უჭირს და მუცელს ნეკნების ქვეშ იწოვს
- თავზე რბილი ადგილი აქვს, რომელიც გარეთ არის გამობურცული (გამობურცული კვანძი)

## კოვიდ-19

ცხელება (მაღალი ტემპერატურა - ცელსიუსით 38 გრადუსი, ან მეტი) შეიძლება COVID-19-ის სიმპტომი იყოს.

## სკოლაში დაბრუნება

თქვენი ბავშვი სკოლაში ან საბავშვო ბაღში არ გაუშვათ, თუ მაღალი ტემპერატურა აქვს.

მას შეუძლია დაბრუნდეს, თუ თავს კარგად გრძნობს და 48 საათის განმავლობაში, მაღალი ტემპერატურა ან რაიმე ახალი სიმპტომები არ აღენიშნება.

თუ თქვენს ბავშვს ღებინება ან დიარეა აქვს, ღებინების, ან დიარეის ბოლო შეტევიდან 48 საათის განმავლობაში, ის სკოლაში არ უნდა დაბრუნდეს.